ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან არველაძის

2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 1 ნოემბრამდე

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის წევრი, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე 2025 წლის აპრილიდან დღემდე, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი 2025 წლის აპრილის ჩათვლით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი 2025 მაისიდან და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2024 წლის ნოემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს ბიუროს 20 სხდომაში და საკრებულოს 16 სხდომაში რომლის დროსაც მიღებული იქნა 103 დადგენილება და 742 განკარგულება. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული იქნა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც.

მონაწილეობა მივიღე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 6 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 32 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის 6 სხდომაში და განივიხილე 121 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 16 სხდომაში, განვიხილეთ 29 საკითხი.

2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 103 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში 293 საკითი):

ქონება

2024 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 265 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები.

განვიხილეთ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების 114 განკარგულების პროექტები.

მათ შორის: ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ს მიმდებარედ არსებული ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია ჩაითვალა არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღები იყო მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, განხილული იქნა სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონების გადაცემის საკითხი. პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი ფართის გადაცემით დაკმაყოფილდა 43 ოჯახი, დასაკმაყოფილებელი დარჩა 11 ოჯახი.

დაახლოებით 74 ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება.

უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული პროექტების განხორციელება დაიწყო 2017 წლიდან და დღემდე საერთო ჯამში დაკმაყოფილდა 3095 ოჯახი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ხელშეკრულება გაფორმდა 1 პროექტზე, სადაც დაკმაყოფილდა 50 მდე პირი.

ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის პროექტები. (ჯამში 72 პროექტი)

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა განკარგულების პროექტებს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიებს შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების/პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.

იმ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მონაცვლეობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის ნაკვეთები), რომელთაც ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად შეეცვლათ ზონალური სტატუსი და შეეზღუდათ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება.

ბიუჯეტი

განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლიური და 2025 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ -1 პროექტი

ქალაქ თბიულისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. 6 პროექტი (მიღებული იქნა 6 დადგენილება).

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2 077 927,2 ათას ლარს. 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი შეადგენდა 1 983 178,0 ათასი ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 219823,3 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 365431,0 ათასი ლარით და ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 2348 609,0 ათას ლარი.

ბიუჯეტში ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

კაპიტალურად შეკეთდა მ.გახოკიძის ქუჩის I, II და III მონაკვეთები, დასრულდა რუსთავის გზატკეცილი - მარნეულის გზატკეცილის კვანძის რეაბილიტაცია; მ.შავიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; წყნეთის გზატკეცილი, უნივერსიტეტის ქუჩისა და

პ.ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდით) მოწყობა;

განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები, მიმდინარეობს შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) უსაფრთხოების კუნძულების, ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა.

დაფარულია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად, 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების ნაწილი და 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი საავანსო ვალდებულება.

მიმდინარე პერიოდში თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 64 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion’s City” 18C მარკის CNG - ის ძრავზე მომუშავე ახალი M3 კატეგორიის ავტობუსი; M3 კატეგორიის N305 მარშრუტზე მოქმედი ავტობუსები ჩანაცვლდა 18 მეტრიანი ახალი ავტობუსებით (19 ერთეული), რომლებიც 27 სექტემბერს გავიდნენ ხაზზე.

თბილისის მასშტაბით გრძელდება ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები.

გრძელდება მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე (დასრულების

ეტაპი), მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის (დასრულების ეტაპი), ნარიყალას ციხის, ნიკო ფიროსმანის N29 და სხვა სარეაბილიტაციო ობიექტებზე;

გრძელდება თბილისის განვითარების ფონდის მიერ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა. დასრულდა სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 6,771.8 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 971.7 ათასი ლარი), ხოლო სამშენებლო და პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები მიმდინარეობს - 5 ობიექტზე, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები 17 ობიექტზე:

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში დასრულდა: გლდანის პატარა ტბის ტერიტორიის რეაბილიტაცია; ყიფშიძის ქუჩაზე ჟიული შარტავას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია; გახოკიძის ქუჩაზე არსებული სკვერების მოწყობა-რტეაბილიტაცია; ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობისა და მშვიდობის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე პარკის მოწყობის სამუშაოები; აეროპორტის დასახლებაში, შალვა ჭანკოტაძის და ჯიმშერ მაისურაძის ქუჩების მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები;

გრძელდება და მიმდინარეობს სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის სამუშაოები: სარწყავი სისტემის, ბილიკების, კიბეებისა და პანდუსის, ელ. ქსელისა და განათების ბოძების, საჭადრაკო სივრცის, ამფითეატრის, ადმინისტრაციული შენობის კედლების, N1 და N2 რეტერატების, მშრალი შადრევნის, ძაღლების მოედნის, კიბეების, ფეხბურთის მოედნისა და კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები; დასრულდა ველოტრეკის, ფამთრექის და სკეიდ პარკის მოწყობისა და საპროექტო არეალის ნიშნულზე მოყვანის და შავი მიწის გაშლის სამუშაოები.

დასრულდა ვერის ბაღის რეაბილიტაცია : სადრენაჟე სისტემის მოწყობა, მიწაში ჩაიდო სარწყავი სისტემის ცენტრალური მილები, დაიქსელა განათების სისტემის ელ. კაბელები და უსაფრთხოებისა და დამიწების სისტემა, ჩაისხა შადრევნის საფუძველი, სრულად დაისხა ბილიკების ბეტონის საფუძველი, მოეწყო ძაღლების კინოლოგიური მოედნის კიბეები და ბილიკები, განთავსდა შესაბამისი აღჭურვილობა, დაიგო 2000 კვ.მ ქვაფენილი, საბავშვო და სავარჯიშო მოედნები აღიჭურვა შესაბამისი მოწყობილობებით, დაირგო 100 ხე და 200 ბუჩქი, ჩაისხა ბელვედერის საფუძველი. მიმდინარეობს ბელვედერის კონსტრუქციის მონტაჟი, ჩაისხმება ადმინისტრაციული შენობის კედლები და გადახურვის ფილა.

ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია - 1,593.5 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის (4,000.0 ათასი ლარი) 39.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის შემდეგი სამუშაოები: შემოიღობა კასკადის ტერიტორია, დაიწყო სადემონტაჟო სამუშაოები და პარალელურად მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები.

ახალი პროგრამის „სახსრების ენდოპროტეზირების“ფარგლებში დაფინანსდა 258 ბენეფიციარი.

გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების, ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოები. მათ შორის: თბილისის N43 ბაგა-ბაღის მშენებლობა. თბილისის N37 ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, ლილოს საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა, თბილისის N28 ბაგა-ბაღის, N50 ბაგა-ბაღის N6 ბაგა-ბაღის და N109 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა (გარდამავალი ხელშეკრულება), დასრულდა თბილისის N71, N101 და N102 საბავშო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

გრძელდება ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის და სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო აეროპორტის დასახლება კორპუსი N9-ის (ს/კ 01.19.25.009.089) მიმდებარედ სპორტული დარბაზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

დაფინანსდა ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ლილოს სპორტული ბაზის და ჩოგბურთის კორტების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები; ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაფორმდა ხელშეკრულება სოფელ დიდ ლილოში მდებარე სპორტული კომპლექსის სპორტული ინვენტარით აღჭურვაზე.

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 26 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების და ურბანული დაგეგემარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის სხდომებზე განვიხილეთ 342 საკითხი.
საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 (181 დადებითი, 3 გადადებული)
კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული)
დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი.
ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი

პატივისცემით,
ლევან არველაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი